ზეიმობს საბჭოთა საქართველო

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს!



გაუმარჯოს საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავს!

მოგილოცავთ დღესასწაულს, ძვირფასო მეგობრებო!


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 110 (15020)

14 მაისი პარასკევი 1971

ფასი 2 კაპ.


ლენინს, სტალინს

თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

ორჯონიკიძე

25/II-1921 წ.



ორჯონიკიძეს

გადაეცით ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი.

ვ. ი. ლენინი

2/III-1921 წ.

# კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საქართველოში!



## ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი თბილისში

13 მაისს თბილისში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი საქართველოს სსრ და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად.

ამავე თვითმფრინავით ჩამოვიდნენ გმირი ქალაქის მოსკოვის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. ვ. გრიშინის მეთაურობით, აგრეთვე სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო.

დიდი ეროვნული დღესასწაული ეწვია ჩვენს თვითეულ სახლს, თვითეულ ოჯახს. ამას ადასტურებს ალისფერი დროშების ფრიალი, კარგი, ხალისიანი განწყობილება.

50 წელი ისტორიისათვის მცირე დროა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე რა საოცრად იცვალა სახე საქართველოს ძველმა მიწა-წყალმა! რესპუბლიკის მშრომელები სახელოვან ღირსშესანიშნავ თარიღს ეგებებიან კომუნისტთა ლენინური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, ეგებებიან მაშინ, როცა მათი შემოქმედებითი ძალები გაფურჩქვნილია.

ქართველი ხალხის წარმატებანი გასული ნახევარი საუკუნის მანძილზე, საბჭოთა ხალხების ურღვევ ძმურ ოჯახში მოპოვებული გამარჯვებანი მკაფიოდ ადასტურებენ კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის, საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ძალასა და ცხოველმყოფელობას.

საიუბილეო ზეიმზე ჩამოსულ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევთან შეხვედრა გადაიქცა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო ქართველი ხალხის ერთიანობისა და შეკავშირების მღელვარე მანიფესტაციად, ცხადყო, რომ ქართველი ერი მზად არის თავისი წვლილი შეიტანოს ჩვენი ქვეყნის შემდგომი აღმავლობის გრანდიოზული პროგრამის განხორციელებაში, იმ პროგრამისა, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ დასახა.

ფლაგშტოკებზე ფრიალებს საბჭოთა კავშირის, საქართველოს სსრ, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები. ყველგან მოჩანს ციფრი „50". შენობათა ფასადებზე გამოფენილია კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთა პორტრეტები. ქუჩებისა და მოედნების გაყოლებით გაჭიმულ წითელ ტილოებზე წარწერილია სტუმართმოყვარე ქართველი ხალხის გულით ნათქვამი მხურვალე სიტყვები: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ!", „დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!", „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ ლენინურ მეგობრობას!".

აეროპორტისაკენ მიმავალი მაგისტრალები მოზეიმე ხალხით არის სავსე. უმაგალითო გამოცოცხლება სუფევს აეროპორტში. ვაგზლის მოედანზე შეკრებილან სამრეწველო საწარმოებისა და მშენებლობების კოლექტივების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, საბჭოთა არმიის მეომრების წარმომადგენლები. შემხვედრთ ხელში უჭირავთ ალმები, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები, გაზაფხულის ყვავილები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შესახვედრად მოვიდნენ ამხანაგები დ. ა. კუნაევი, პ. ე. შელესტი, პ. მ. მაშეროვი, ვ. პ. მჟავანაძე, შ. რ. რაშიდოვი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები მ. ა. გოგიჩაიშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ს. გ. კურკოტკინი, ო. ი. ლოლაშვილი, ა. ნ. ჩურკინი, ნ. შ. ცხაკაია, შ. ი. ჭანუყვაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატები რ. ვ. მეტრეველი, თ. ი. მოსაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, პარტიის აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტების მდივნები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების თავმჯდომარენი, მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარენი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, რესპუბლიკური, საქალაქო პარტიული და საბჭოთა ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

აეროდრომზე მოვიდნენ მოკავშირე რესპუბლიკათა კომუნისტური პარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნები: აზერბაიჯანისა — გ. ა. ალიევი, ლიტვისა — ა. ი. სნეჩკუსი, მოლდავეთისა — ი. ი. ბოდიული, ლატვიისა — ა. ე. ვოსი, ყირგიზეთისა — ტ. უსუბალიევი, სომხეთისა — ა. ე. ქოჩინიანი, თურქმენეთისა — მ. გაპუროვი, ესტონეთისა — ი. გ. კებინი, ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ხოლოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. მ. შკოლნიკოვი, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ვ. რომანოვი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. მ. ტიაჟელნიკოვი, მოძმე რესპუბლიკებისა და გმირი ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის დელეგაციათა წევრები, რომლებიც საიუბილეო ზეიმზე ჩამოვიდნენ.

თვითმფრინავი აეროვაგზლის ბაქანს უახლოვდება. საპარადო ტრაპით ჩამოდის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი, შეკრებილნი მას მქუხარე ტაშით, მისალმების მხურვალე, გულთბილი სიტყვებით ეგებებიან.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი გულთბილად მიესალმება საქართველოს სსრ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, თბილისის მშრომელთა, მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებს. გაისმის მისასალმებელი შეძახილები კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის პატივსაცემად.

პიონერებმა და მოსწავლეებმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს ყვავილები მიართვეს.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი და მასთან ერთად ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე სხდებიან ღია მანქანაში. მთელ გზაზე თბილისელებს ცოცხალი დერეფანი შეუქმნიათ. ისინი გულთბილად და გულითადად მიესალმებიან ძვირფას სტუმარს. (საქინფორმი).

თბილისი. 1971 წლის 13 მაისი. სურათებზე: შეხვედრა თბილისის აეროპორტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან; ქვემოთ — თბილისელი პიონერები ყვავილების თაიგულებს მიართმევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს. მარცხნიდან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და ბ. ვახტანგაძისა.



## ყვავილებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი

საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის დღესასწაულის სასიხარულო, აღმაფრთოვანებელ დღეებში ქართველი ხალხი თავის ფიქრებს მიაპყრობს დიდ ბელადს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს, მის მიერ შექმნილ კომუნისტურ პარტიას.

ლენინის სახელით, ლენინური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში საქართველოს მშრომელებმა მიაღწიეს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის უმაგალითო აყვავებას.

ვ. ი. ლენინის სიყვარულმა და პატივისცემამ მოიყვანა 13 მაისს ათასობით თბილისელი მშრომელი ბელადის ძეგლთან მოედანზე, რომელიც მის სახელს ატარებს. თითქოს შეკრებილთ ესალმებაო, ხელი გაუწვდია ბრინჯაოს ილიჩს.

ლენინის მოედანი. გვახსენდება XI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრის სერგო ორჯონიკიძის ისტორიული დეპეშა, რომელიც გაუგზავნა ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!" აქ, მოედანზე, ნახევარი საუკუნის წინათ აფრიალდა ეს ძლევამოსილი დროშა. ამ მოედნის ქვაფენილზე საზეიმო მარშით გაიარეს თბილისის პროლეტარებმა, განმათავისუფლებელი XI არმიის მებრძოლებმა...

ილიჩის ძეგლთან მოვიდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ვ. ვ. გრიშინი, დ. ა. კუნაევი, პ. ე. შელესტი, პ. მ. მაშეროვი, ვ. პ. მჟავანაძე, შ. რ. რაშიდოვი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები მ. ა. გოგიჩაიშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ს. გ. კურკოტკინი, ო. ი. ლოლაშვილი, ა. ნ. ჩურკინი, ნ. შ. ცხაკაია, შ. ი. ჭანუყვაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატები რ. ვ. მეტრეველი, თ. ი. მოსაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი.

აქვე არიან საიუბილეო ზეიმზე ჩამოსულ დელეგაციათა მეთაურები.

გაისმის გლინკას „იდიდეს" და ლალიძის „ჰიმნი პარტიას" დიდებული მელოდიები და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ვ. ი. ლენინის ძეგლს ამკობს ყვავილებით სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან.

ძეგლს ყვავილებით ამკობენ ვ. პ. მჟავანაძე, გ. ს. ძოწენიძე, გ. დ. ჯავახიშვილი. ყვავილების კალათის ალისფერ ლენტს აწერია: „დიდ ლენინს მადლიერი ქართველი ხალხისაგან".

ძეგლს ყვავილებით ამკობენ მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის, ქვეყნის შეიარაღებული ძალების დელეგაციათა ხელმძღვანელები.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, საქართველოს სს რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა, გმირი ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის, მოკავშირე რესპუბლიკების დელეგაციებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს კომუნისტური პარტიის დამაარსებლის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის ვ. ი. ლენინის ხსოვნას. (საქინფორმი).

1921 50 1971

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა დაათვალიერა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა

18 მაისს ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ვ. ვ. გრიშინი, დ. ა. კუნაევი, პ. ე. შელესტი, პ. მ. მაშეროვი, ვ. პ. მჟავანაძე, შ. რ. რაშიდოვი იყვნენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა საიუბილეო გამოფენაზე, რომელიც ასახავს რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას ნახევარი საუკუნის მანძილზე, მოგვითხრობს საქართველოს დღევანდელ და ხვალინდელ დღეზე.

მათთან ერთად გამოფენაზე იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები მ. ა. გოგიჩაიშვილი, ა. მ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ს. კ. კურკოტკინი, ო. ი. ლოლაშვილი, ა. ნ. ჩურკინი, ნ. შ. ცხაკაია, შ. ი. ჭანუყვაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატები რ. ვ. მეტრეველი, თ. ი. მოსაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ა. გ. შელეპინი, საიუბილეო ზეიმზე ჩამოსული მოძმე რესპუბლიკების დელეგაციათა ხელმძღვანელები: რუსეთის სფსრ დელეგაციისა — ა. მ. შკოლნიკოვი, აზერბაიჯანის სსრ დელეგაციისა — გ. ა. ალიევი, ლიტვის სსრ დელეგაციისა — ა. ი. სნეჩკუსი, მოლდავეთის სსრ დელეგაციისა — ი. ი. ბოდიული, ლატვიის სსრ დელეგაციისა — ა. ე. ვოსი, ყირგიზეთის სსრ დელეგაციისა — ტ. უსუბალიევი, ტაჯიკეთის სსრ დელეგაციისა — მ. ხოლოვი, სომხეთის სსრ დელეგაციისა — ა. ე. ქოჩინიანი, თურქმენეთის სსრ დელეგაციისა — შ. გაპუროვი, ესტონეთის სსრ დელეგაციისა — ი. გ. კებინი, ლენინგრადის დელეგაციისა — გ. ვ. რომანოვი, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების დელეგაციისა — ა. ა. გრეჩკო, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. მ. ტიაჟელნიკოვი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს მდიდრულად გაფორმებული პავილიონების დათვალიერებისას ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი და გ. ს. ძოწენიძე უამბობდნენ იმ უდიდეს გარდაქმნებზე, რომლებიც საქართველოს ეკონომიკასა და კულტურაში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების 50 წლის მანძილზე.

საიუბილეო ექსპოზიციას იხსნება ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დიდი სკულპტურული პორტრეტით და იმ ისტორიული დეპეშის ტექსტით, რომელიც 1921 წლის თებერვალში ს. ორჯონიკიძემ გაუგზავნა მოსკოვში ლენინს და სტალინს.

სტუმრებმა ნახეს მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფერადი კინოფილმი საბჭოთა საქართველოს შესახებ.

მთავარ პავილიონში განლაგებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და მისი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, საუწყებო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების გამოფენა, რომელიც მოგვითხრობს განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის შესახებ. სტუმრების დიდი ინტერესი გამოიწვია ფიზიკის ინსტიტუტის ექსპოზიციამ. მათ უჩვენეს სტრიმერული ნაპერწკლოვანი კამერის — ელემენტარული ნაწილაკების სარეგისტრაციო ხელსაწყოს მოქმედი მოდელი. ამ ხელსაწყოს ავტორებს 1970 წელს მიენიჭათ ლენინური პრემია.

სტუმრებმა დაათვალიერეს აგრეთვე რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მენისკის ტელესკოპის მოდელი, გაეცნენ გამოთვლითი ცენტრის, კიბერნეტიკის, მართვის სისტემების, სამთომექანიკისა და სხვა ინსტიტუტების ნაშრომებს.

პავილიონში, რომლის ექსპოზიცია ასახავს საბჭოთა საქართველოს კულტურასა და ხელოვნებას, ლ. ი. ბრეჟნევმა დაათვალიერა ქართველ კინომსახიობთა პორტრეტები და შეჩერდა შესანიშნავი ქართველი კინომსახიობის ნატო ვაჩნაძის ფოტოსურათთან და დამსწრეთ გაუზიარა მოგონებანი მასთან შეხვედრებზე.

სტუმრები შევიდნენ საშენ მასალათა მრეწველობის, საპროექტო ინსტიტუტების, თბილისის მეტროპოლიტენის, საავტომობილო გზებისა და მოსახლეობის კომუნალური მომსახურების პავილიონში. სტენდთან, რომელიც მოგვითხრობს მექანიზებულ გასაყვან ფარზე, რომელიც განკუთვნილია კლდის გრუნტების მონოლითური — დაწნეხილი ბეტონით მოპირკეთებული გვირაბების ასაშენებლად, ლ. ი. ბრეჟნევმა იკითხა თუ რამდენად მწარმოებლურია ეს კომპლექსი, რომელიც თბილისში აითვისეს. მან მაღალი შეფასება მისცა თბილისელ მეტრომშენებელთა მიღწევებს, რომლებმაც ამ ფარით გვირაბის გაყვანაში მოიპოვეს რეკორდი — 106 მეტრი თვეში. წინათ, ფარის გამოყენებამდე, მაქსიმალური სიჩქარე 50 მეტრი იყო.

„სუბტროპიკული მეურნეობისა და ჩაის პავილიონი" წარმოადგენს დიდ მინის გუმბათს, რომლის ქვეშ ბუნებრივ პირობებში ხარობენ რესპუბლიკის სუბტროპიკული ფლორის შესანიშნავი წარმომადგენლები. ორანჟერეის ფართობია დაახლოებით 900 კვადრატული მეტრი. საინტერესოა, რომ აქ კარგად ხარობს გიგანტური ბამბუკი.

სოფლის მეურნეობის პავილიონთან ღია მოედანზე დგას მსოფლიოში პირველი ჩაისსაკრეფი მანქანა „საქართველო", რომლის კონსტრუქტორები აგრეთვე გახდნენ ლენინური პრემიის ლაურეატები. ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს დაწვრილებით გააცნეს ამ გონიერი მანქანის მუშაობის პრინციპი, უჩვენეს იგი მუშაობის დროს. ლეონიდ ილიას-ძემ თქვა, რომ ფოლადის მეჩაიე შესანიშნავია. მან აგრეთვე მაღალი შეფასება მისცა მთის მიწათმოქმედების ტექნიკას, რომელსაც წარმატებით იყენებენ საქართველოს პირობებში.

შემდეგ პავილიონში გამოფენილია მაღლიანი ქართული მიწის უამრავი ნაყოფი და რესპუბლიკის კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის მრავალფეროვანი პროდუქცია. „სამტრესტის" სტენდთან სტუმრების ყურადღება მიიპყრო სახელგანთქმული ქართული ღვინოებისა და კონიაკების კოლექციამ, რომლებმაც მრავალრიცხოვანი ჯილდოები მოიპოვეს სრულიად საკავშირო და საერთაშორისო კონკურსებსა და დეგუსტაციებზე. „თქვენი სამარკო ღვინოები მთელ მსოფლიოშია განთქმული", — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ადგილობრივი, ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის, ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის პავილიონში გამოფენილია მაღალხარისხოვანი ავეჯი, პიანინოები, „სოლანის" თირმის დიდად პოპულარული პროდუქცია, სახალხო მოხმარების სხვადასხვა საქონელი.

ენერგეტიკის, გეოლოგიის, სამთო, მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის, გაზიფიკაციის, რკინიგზის, საავტომობილო და საავიაციო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის პავილიონის წინ აღმართულია სკულპტურული კომპოზიცია „შემოქმედება", (ავტორი ლ. მამალაძე). თვით პავილიონში გამოფენილია რგოლური სახურებელი ღუმელის მართვის ავტომატიზებული სისტემის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარის, პოლიმერული ნამცეცის ექსტრაგირებისა და კაპროლაქტამის უწყვეტი პოლიმერიზაციის დანადგარების მოქმედი მოდელები, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის პროდუქცია.

მანქანათმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის პავილიონის ექსპოზიციას ხსნის მიხეილ ივანეს-ძე კალინინის ჭედური პორტრეტი. პორტრეტის ქვეშ დგას ჩარხი, რომელზეც 1900 წელს მუშაობდა „სრულიად საკავშირო მამასახლისი". აქ წარმოდგენილია კიროვის სახელობის ქარხნისა და თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის, ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის, ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის ჩარხები და თბილისის „ჰიდრომეტხელსაწყოს" ქარხნის მსოფლიოში ფართოდ ცნობილი პროდუქცია. ფოთის სერგო ორჯონიკიძის სახელობის გემსარემონტო ქარხნის სტენდთან ლ. ი. ბრეჟნევმა დამსწრეთ უამბო, რომ უმოგზაურია საქართველოში აშენებულ წყალქვეშაფრთიანი თბომავლით. ეს იყო პირველი წყალქვეშაფრთიანი საზღვაო გემი „კომეტა", რომელიც ფოთის გემთმშენებლებმა ააშენეს. „ჩინებული ხომალდია", — თქვა ამხ. ბრეჟნევმა.

ამავე პავილიონში ლ. ი. ბრეჟნევსა და სხვა სტუმრებს უჩვენეს გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებათა აგრეგატული სისტემის პირმშო — მანქანა „მ-1000", რომელიც პირველად ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა თბილისის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. ამ მანქანას უშვებს თბილისის მმართველი გამოსათვლელი მანქანების ქარხანა. იგი განკუთვნილია ტექნოლოგიური პროცესების მართვისათვის მრეწველობის სხვადასხვა დარგში. მანქანა კიბერნეტიკის თანამედროვე ტექნიკურ საშუალებათა დონეზეა შემუშავებული. მანქანის მათემატიკური უზრუნველყოფის სპეციალური პროგრამა ავტომატურად არეგულირებს სისტემის ერთდროულად მომუშავე მოწყობილობებისა და აგრეგატების რაოდენობას. ამის შედეგად მისი მუშაობა მწარმოებლური და ეკონომიურია. სტუმრებს უჩვენეს აგრეთვე სხვა ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანები, რომელსაც ქარხანა უშვებს. „ეს მეტად გონიერი მანქანებია და უფრო მეტი უნდა გამოუშვათ", — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა.

მსუბუქი მრეწველობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების პავილიონში ლ. ი. ბრეჟნევსა და სხვა სტუმრებს უჩვენეს მაღალმხატვრული საიუბილეო ხალიჩა, რომელიც მოქსოვეს ცხაკაიას ხალიჩათსაქსოვ კომბინატში (ავტორი — შ. გვაძაბია). „ძალიან კარგია, რომ ვისწავლეთ ასეთი რთული და ლამაზი ხალიჩების ქსოვა მექანიზებული ხერხით", — აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა.

სტუმრებმა დაათვალიერეს აგრეთვე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საწარმოთა ნაკეთობანი, კერძოდ, ლამაზი ფეხსაცმელი, ხალხურ ოსტატთა ნახელავი და სხვ.

გამოფენაზე წარმოდგენილი ათასობით ექსპონატი თვალნათლივ მოწმობს ქართველი ხალხის იმ უდიდეს წარმატებებს, რომლებიც მოიპოვა საბჭოთა ხელისუფლების 50 წლის მანძილზე.

სტუმრებს ახსნა-განმარტებას აძლევდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. მ. მიქელაძე, რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრი კ. ი. ქავთარაძე, „სამტრესტის" მმართველი გ. ა. თუშმალიშვილი, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე ე. ი. დუდჩენკო, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი ე. ლ. ანდრონიკაშვილი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორი ვ. ვ. ჭავჭანიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი ე. კ. ხარაძე, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის დირექტორი ა. ი. ბუაძე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ო. ნ. სულაძე, თბილისის მმართველი გამოსათვლელი მანქანების ქარხნის დირექტორი დ. ა. შალიგინი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაის მოვლა-მოყვანის მექანიზაციის საპრობლემო სამეცნიერო კვლევითი საკონსტრუქტორო ლაბორატორიის უფროსი, ლენინური პრემიის ლაურეატი შ. ი. კერესელიძე და რესპუბლიკის სამინისტროთა, უწყებათა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებათა სხვა ხელმძღვანელი მუშაკები და წამყვანი სპეციალისტები.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ვ. ვ. გრიშინმა, დ. ა. კუნაევმა, პ. ე. შელესტმა, პ. მ. მაშეროვმა, შ. რ. რაშიდოვმა, საიუბილეო ზეიმზე ჩამოსულ დელეგაციათა ხელმძღვანელებმა ასეთი ჩანაწერი დატოვეს საპატიო სტუმართა წიგნში:

„საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა საიუბილეო გამოფენა მკაფიოდ და შთამბეჭდავად მოგვითხრობს იმ შესანიშნავ წარმატებებზე, რომლებსაც ქართველმა ხალხმა მიაღწია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლების ნახევარ საუკუნეში. აქ დამაჯერებლად ნაჩვენებია რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობა, ქართული მეცნიერებისა და კულტურის აყვავება.

დარწმუნებული ვართ, რომ სოციალისტური საქართველოს მუშები, სოფლის მეურნეობის მშრომელები, ინტელიგენცია კვლავაც მთელ თავიანთ ძალ-ღონესა და ენერგიას მოახმარენ რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების საქმეს, ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში". (საქდესი).



სურათზე: ვ. ი. ლენინის ძეგლის ყვავილებით შემკობა.

ფოტო ვლ. ბინზბურგისა და ბ. ვახტანგაძისა.

## გვილოცავენ

● სულითა და გულით ვულოცავ საქართველოს მშრომელებს რესპუბლიკის ორმოცდამეათე წლისთავს. დაე მუდამ ჰყვაოდეს საქართველოს მიწა-წყალი. დაე მუდამ მრავლდებოდეს დიდება ძველი ქართველი ხალხისა, რომელმაც მსოფლიოს ბევრი სახელოვანი შვილი მისცა. მიიღეთ გულწრფელი სალამი.

მ. შოლოხოვი,
ვეშენსკაია.

□ საიუბილეო ზეიმის დღეებში, როცა საბჭოთა საქართველოს ორმოცდამეათე წელი შეუსრულდა, ვუსურვებ მის ხალხს, მინდვრებისა და ქარხნების მშრომელებს ჯანმრთელობასა და მრავალი წლის სიცოცხლეს.

მ. ბაჟანი,
მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.
კ. კიევი.

● გულითადად ვულოცავთ გაზეთ „კომუნისტის" მკითხველებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს. ვუსურვებთ მოძმე ქართველ ხალხს შემდგომ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში, ბედნიერებასა და გაფურჩქვნას.

საბჭოთა კავშირის მფრინავი-კოსმონავტები, საბჭოთა კავშირის გმირები:
კ. ფეოქტისტოვი,
ვ. სევასტიანოვი,
ა. ელისეევი,
ნ. რუკავიშნიკოვი.

# ძმური შეხვედრები ქართულ მიწაზე

18 მაისს თბილისში გრძელდებოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის დღესასწაულზე ჩამოსულ მოძმე რესპუბლიკებისა და გმირი ქალაქების დელეგაციათა გულითადი შეხვედრები რესპუბლიკის მშრომელებთან, საწარმოთა, სამეცნიერო დაწესებულებათა და სასწავლებელთა კოლექტივებთან.

ძმურად, ყვავილებით შეხვდნენ თბილისის „საპატიო ნიშნის" ორდენოსანი კამვოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს" მუშა-მოსამსახურენი ყაზახეთის სს რესპუბლიკის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის დ. კუნაევის მეთაურობით.

სტუმრებმა დაათვალიერეს საწარმოს საამქროები, დაინტერესდნენ კომბინატის პერსპექტივებით. შემდეგ კლუბში გაიმართა მიტინგი. იგი გახსნა საწარმოს პარტკომის მდივანმა ს. მიქელაძემ.

კომბინატის დირექტორი მ. ბაბუნაშვილი, კამვოლის წარმოების ოსტატის თანაშემწე, სკკპ XXIV ყრილობის დელეგატი, სოციალისტური შრომის გმირი ზ. ქემაშვილი, წარმოების ვეტერანი, ოსტატის თანაშემწე ა. ხუციშვილი მხურვალედ მიესალმნენ სტუმრებს, მოუთხრეს ფეიქართა წარმატებებსა და მომავლის გეგმებზე.

შემდეგ სიტყვა მიეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს დ. კუნაევს. მან თქვა, რომ ქართველი ხალხი ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის მხარდამხარ იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, აშენებდა სოციალიზმს, შეიტანა წვლილი მერვე ხუთწლედის წარმატებით შესრულებაში. ახლა საქართველოს მშრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მხურვალედ მოჰკიდეს ხელი კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის, სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას. ამხანაგმა კუნაევმა მადლობა გადაუხადა კომბინატის კოლექტივს გულთბილი მასპინძლობისათვის, მიულოცა საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის დღესასწაული.

დასასრულ საწარმოს თვითმოქმედმა კოლექტივმა გამართა კონცერტი.

ყირგიზეთის სს რესპუბლიკის დელეგაცია ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ტ. უსუბალიევის მეთაურობით თბილისის ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენის კოლექტივის სტუმარი იყო. მან იმოგზაურა მეტროპოლიტენის ტრასით, დაათვალიერა სადგურები და ნაგებობანი, ესაუბრა მეტროს მუშაკებს.

გაიმართა თბილისის მეტროპოლიტენის კოლექტივის საზეიმო მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ყირგიზი ხალხის წარმომადგენელთა ჩამოსვლას. მიტინგი გახსნა თბილისის მეტროპოლიტენის პარტკომის მდივანმა ჯ. ფოფხაძემ.

ძვირფას სტუმრებს გულითადად მიესალმა თბილისის მეტროპოლიტენის უფროსი ნ. ბერიძე.

სტუმრებს გულთბილი სიტყვებით მიმართეს აგრეთვე მეტროპოლიტენის ელექტროდეპოს მემანქანემ ი. ციცქიშვილმა, ექსპლოატაციის დისტანციის უფროსმა ინჟინერმა ვ. აგაფონოვამ, სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ნ. ცხადაძემ.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ყირგიზეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. უსუბალიევმა. მან ილაპარაკა ყირგიზი ხალხის მიერ დიდი ოქტომბრის დროშით, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელების საფუძველზე მოპოვებულ დიდ წარმატებათა შესახებ. ტ. უსუბალიევმა მხურვალედ მიულოცა ქართველ ერს სახელოვანი იუბილე.

ესტონეთის სსრ დელეგაცია ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ი. კებინის მეთაურობით ეწვია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შრომის წითელი დროშის ორდენოსან ფიზიკის ინსტიტუტს — ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ დიდ სამეცნიერო-საკვლევ ცენტრს ფიზიკის დარგში.

დელეგაციის წევრებმა ინტერესით დაათვალიერეს ინსტიტუტის ლაბორატორიები. ერთ-ერთმა ლაბორატორიამ სტუმრებს საჩუქრად მიართვა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის პორტრეტი, რომელიც ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანის დახმარებით არის შესრულებული.

მეგობრობის მიტინგი გახსნა ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა დ. ლომინაძემ.

ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერები, თქვა ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. ანდრონიკაშვილმა, კარგად იცნობენ ესტონელი კოლეგების ნაშრომებს. ტარტუს უნივერსიტეტში მიიღო განათლება ბევრმა მეცნიერმა, რომლებიც შემდგომში ქართული მეცნიერების საამაყონი გახდნენ. ჩვენი რესპუბლიკების მჭიდრო და ძმური ურთიერთობა მომავალში კიდევ უფრო განმტკიცდება და გაფართოვდება.

სტუმრებს მიესალმნენ თეორიული ფიზიკის განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. მამასახლისოვი, ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი თ. ცეცხლაძე, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ხარაძე.

საქართველოს მშრომელებს ყოველივე საუკეთესო უსურვა ესტონეთის სსრ დელეგაციის წევრმა, ტალინის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის „ესტონეთის" სოლისტმა ა. კაალმა.

ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. კებინმა თქვა, რომ ქართული კულტურა ერთ-ერთი უძველესი კულტურაა, მაგრამ ნამდვილ აყვავებას მან მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების წლებში. გვახარებს და გვაოცებს თქვენი რესპუბლიკის მიღწევები, თქვა მან. სულითა და გულით გისურვებთ გაამრავლოთ წარმატებანი მეცხრე ხუთწლედში. თქვენი წარმატებანი ისევე გვახარებს, როგორც ჩვენი საკუთარი.

დელეგაციის წევრებმა ინსტიტუტის კოლექტივს გადასცეს სამახსოვრო საჩუქარი — ესტონელი ხალხური ოსტატების ნახელავი — უძველესი ესტონური ეპოსის გმირთა პატარა ფიგურები.

თბილისის სამხატვრო აკადემიის კოლექტივი დიდი გულთბილობითა და გულითადობით შეხვდა გმირი ქალაქის ლენინგრადის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. რომანოვი. სტუმრებმა დაათვალიერეს აკადემიის საგამოფენო დარბაზები, გაეცნენ კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა ნამუშევრებს. აკადემიის რექტორი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი ა. ქუთათელაძე ლენინგრადელ მეგობრებს ესაუბრა ქართველ და ლენინგრადელ მხატვართა და მოქანდაკეთა მეგობრობისა და თანამშრომლობის დიდ ტრადიციებზე.

ლეგენდარული ქალაქის წარმომადგენლებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ნამუშევრები კერამიკის, ოქრომჭედლობის, მინის, ქსოვილების დარგში. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე საქართველოს დამსახურებული მხატვრის ჭ. მახარაძის ფერწერულმა ტილომ „სუვოროვისა და ბაგრატიონის ლაშქრობა ალპებში", რომლის ესკიზი საჩუქრად მიართვეს ლენინგრადელებს.

გამოფენათა დათვალიერების შემდეგ გაიმართა მიტინგი, რომელიც გახსნა სამხატვრო აკადემიის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ე. ხანადირაძემ. ა. ქუთათელაძე გულთბილად, ძმურად მიესალმა დელეგაციას და მისი სახით ყველა ლენინგრადელს. უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა სახელით დელეგაციის წევრებს სიტყვით მიმართა მეოთხეკურსელმა გ. ქლიბაძემ.

ლენინგრადის საქალაქო საბჭოს, აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ი. პოპოვმა დიდი მადლობა გადაიხადა გულითადი, გულთბილი მიღებისათვის, და აკადემიის რექტორს გადასცა სამახსოვრო საჩუქარი.

მიტინგზე გამოვიდა სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. რომანოვი. მან გულითადად მიულოცა დამსწრეთ და მათი სახით მთელ ქართველ ხალხს დიდი ეროვნული დღესასწაული. ქართველი ხალხის დღესასწაული ყველა საბჭოთა ადამიანის ზეიმია, თქვა მან. ლენინგრადისა და თბილისის მეგობრობა შედუღაბებულია საქართველოსა და რუსეთის საუკეთესო შვილთა სისხლით, რომელიც ერთად დაღვარეს ნევისპირა ქალაქისათვის ბრძოლებში. ეს მეგობრობა გვეხმარება კომუნისტურ მშენებლობაში, ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში.

გ. რომანოვმა აკადემიის კოლექტივს მიუძღვნა ლენინგრადელი მოქანდაკეების მიერ შესრულებული ვ. ი. ლენინის ბარელიეფი. (საქდესი).



სურათზე: სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ეცნობა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას. მარცხნიდან — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ე. ხარაძე.

ფოტო ვლ. ბინზბურგისა და ბ. ვახტანგაძისა.

# თანამებრძოლების შეხვედრა

12 მაისს საბჭოთა არმიის ცენტრალურ სახლში შეიკრიბნენ ტუაფსესათვის, ნოვოროსიისკისა და ქერჩისათვის ბრძოლების გმირები და უკრაინის, პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების მონაწილენი, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვიდნენ.

უკვე დიდი ხანია ტრადიციად დამკვიდრდა, რომ მე-18 არმიის ვეტერანები მოსკოვში გამარჯვების დღის გამო ერთმანეთს ხვდებიან. ისევე როგორც შარშან, მებრძოლ მეგობრებთან მივიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელსაც შეკრებილნი მხურვალედ შეხვდნენ. მან ომის წლებში მე-18 არმიის ჯარისკაცებთან და ოფიცრებთან ერთად განვლო მთელი გმირული გზა ნოვოროსიისკიდან პრაღამდე.

გულთბილი, ამაღელვებელი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრა ომის ვეტერანებთან. სკკპ XXIV ყრილობის დელეგატმა, ზეინკალთა ბრიგადირმა 107-ე მსროლელი ბრიგადის ყოფილმა მზვერავმა დ. ბ. რობაჩოვმა სულითა და გულით გადაუხადა მადლობა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს იმის გამო, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის ყრილობაზე კეთილი სიტყვით მოიხსენია ფრონტელები. შეხვედრის დროს ერთმანეთს მოგონებანი გაუზიარეს მე-18 არმიის ყოფილმა სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ა. ი. გასტილოვიჩმა, 83-ე მსროლელი დივიზიის ყოფილმა მეთაურმა, ახლა არმიის გენერალმა ა. ა. ლუჩინსკიმ, მე-17 მსროლელი კორპუსის პოლიტგანყოფილების ყოფილმა უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა, საბჭოთა კავშირის გმირმა ნ. ს. დიომინმა, 107-ე მსროლელი ბრიგადის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილემ ა. ნ. კოპენკინმა, მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილემ ს. ს. პახომოვმა და სხვებმა.

დასასრულ გამოვიდა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. მან გულთბილი მადლობა გადაუხადა შეკრებილთ მიწვევისათვის, გაუზიარა თავისი აზრები პარტიის XXIV ყრილობის მუშაობისა და მისი ისტორიული გადაწყვეტილებების შესახებ.

(საქდესი).

# უცხოელი კორესპონდენტები თბილისში

საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის საიუბილეო ზეიმზე თბილისში ჩამოვიდა მოსკოვში აკრედიტებულ უცხოელ კორესპონდენტთა დიდი ჯგუფი. მათ შორის არიან ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იაპონიის ჟურნალისტები.

საზღვარგარეთელი კორესპონდენტები მიიღო და ესაუბრა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. მ. სირაძემ.

საზღვარგარეთის ქვეყნების პრესის წარმომადგენლები იყვნენ მცხეთაში, დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილები. საღამოს მათ ნახეს დოკუმენტური ფილმები საქართველოზე. (საქდესი).



# საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტმა საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიები მიანიჭა

□

ლიტერატურის დარგში

კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე ლორთქიფანიძეს მოთხრობებისათვის „სიკვდილი ცოტას მოიცდის“, „მამია ჭაიანი“, „ცაბუნია“, „როცა კაცი მარტოა“, „ერთი ღამის საუკუნე“, „მაისის დილა“. „ცისფერი დუნაი“ და მოთხრობებისათვის „ჩემი პირველი კომკავშირელი“, „გაუმარჯოს დონ კიხოტს“, „ორთაჭალის მეთევზეები!“, რომლებიც გამოქვეყნებულია კრებულში „ერთი კარგი წელიწადი“.

საბავშვო ლიტერატურის დარგში

არჩილ სიმონის-ძე სულაკაურს — ზღაპრისათვის „სალამურას თავგადასავალი“.

□

მუსიკალური ხელოვნების დარგში:

ალექსი დავითის-ძე მაჭავარიანს მუსიკალური ციკლისათვის „ხუთი მონოლოგი“ ხმისა და ორკესტრისათვის ვაჟა-ფშაველას ლექსების მიხედვით.

სახვითი ხელოვნების დარგში

ელენე დიმიტრის ასულ ახვლედიანს ფერწერულ და გრაფიკულ ნაწარმოებთა სერიებისათვის „თბილისი“ და „საქართველოს პეიზაჟები“, რომლებიც ამ ბოლო ორ წელიწადში შექმნა.

თეატრალური ხელოვნების დარგში

ვასილ დავითის-ძე გოძიაშვილს — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის სპექტაკლებში „ძველ ვოდევილებსა“ და „კაცია ადამიანში“ მთავარი როლების შესრულებისათვის.

სერგო ალექსანდრეს-ძე ზაქარიაძეს — ამ ბოლო ორ წელიწადში შექმნილი სცენური სახეებისათვის — სიკვდილის შემდეგ.

კინოხელოვნების დარგში

გურამ ვასილის-ძე პატარაიას — სატელევიზიო ფილმებისათვის „რუსთაველის ნაკვალევზე“ და „შორია გურჯისტანამდე“. (საქღესი).

---

ჩვენი საიუბილეო ანკეტა

# ახალი ცხოვრების მშენებელი

საბჭოთა საქართველო თავის სახელოვან ორმოცდაათ წლისთავს ზეიმობს... სიხარულით, კმაყოფილებით, თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის ღრმა შეგნებით ხვდება დიდ ეროვნულ დღესასწაულს ჩვენი ხალხი. თვითეულ ჩვენგანს კი ამ საზეიმო დღეებში საკუთარი გრძნობა, ფიქრი და სურვილი, თავისი ალალი სათქმელი აქვს.

„კომუნისტის“ რედაქციამ სთხოვა სხვადასხვა პროფესიის, სხვადასხვა დარგში მომუშავე ადამიანებს გაზეთის ფურცლებზე გამოთქვან საკუთარი აზრი და უპასუხონ შემდეგ კითხვებზე:

1. რას განიცდით, რას ფიქრობთ ამ საზეიმო დღეებში?
2. რა მოგცათ თქვენ საბჭოთა ხელისუფლებამ?
3. რა წვლილი შეიტანეთ და შეგაქვთ საბჭოთა საქართველოს აყვავებაში?
4. რით არის განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი თქვენთვის ეს საიუბილეო წელი?
5. როგორ გეხატებათ თვალწინ სამშობლოს მომავალი?

აქ გვერდზე ვაქვეყნებთ ზოგიერთი მათგანის წერილებს.

□ □ □

## ამ დღეების ნათელი

რევაზ გზიშვილი,

საქართველოს კპ გორის რაიკომის პირველი მდივანი, სოციალისტური შრომის გმირი.

□

ყველას, თითქმის ყველას განუცდია სიხარული საკუთარი მშობლის დაბადების დღის აღნიშვნის გამო. დღეს კი ეს სიხარული საერთოა. საბჭოთა საქართველო — ჩემი და თქვენი საყვარელი დედა-სამშობლო თავისი დაბადების ორმოცდამეათე წლისთავს ზეიმობს.

ამბობენ, მშობლის ამაგი ვინ დათვალაო. მართლაც, აბა დათვალეთ ყველა ის სიკეთე, რაც მე, თქვენ, ყველას ამ ორმოცდაათმა წელმა მოგვცა, საბჭოთა საქართველომ ასე უხვად რომ ჩამოგვაბერტყა. შორს რათ წავალთ. აი თუნდაც ჩვენი გორის რაიონი. გლეხკაცი წელში გასწორდა, სილარიბე ძველებურ ქოხმახებთან ერთად მოიცილა, დაახვავა პური და ხილი, ამრავლა ღვინო და ბოსტნეული...

საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი პირმშოა ტირიფონის არხი, რომელიც ამჟამად 27 ათასამდე ჰექტარ მიწას რწყავს. მე, ჯერ კიდევ თორმეტი წლის ბიჭი, როცა უფროსებთან ერთად კოლმეურნეობაში მუშაობა დავიწყე, საკუთარი თვალით ვხედავდი, თუ როგორ ხარბად ისრუტავდა ოდესღაც დამშეული ველი არხის მაცოცხლებელ წყალს, როგორ შენდებოდა ახალი ბაღები და ვენახები, როგორ კეკლუცდებოდა, ირთვებოდა მიწა, თითქოს ერთიანად, რაღაც ზღაპრული საკერავი მანქანით გვირისტი გაუტარებიათო.

აბა, ახლა მობრძანდით გორის რაიონის სოფლებში, სად ნახავთ, რომ სკოლა არ იყოს ან საექიმო უბანი, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტებით დაიქსელა ქართლის გული, კეთილმოწყობო გზები, წამოიჭიმა ვეებერთელა ქიტყირის შენობები. მახსოვს მშობლიურ ატენში წინათ მარტო ერისთავს რომ ჰქონდა ორსართულიანი სახლი, ისიც კი ვერ მოვა მათთან. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სულ უფრო მძლავრნი, ღონივრები გახდნენ.

ყოველივე ამ სიკეთის შემოქმედი კი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიაა, რომელმაც ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლ ადამიანებს უჩვენა პერსპექტივა და უტყუარი გზა. სწორედ პარტიის იდეები, საქმეები და გეგმები იქცნენ ჩვენი ცხოვრების აზრად და შინაარსად.

რა წვლილი შევიტანე და შემაქვს ჩემი სამშობლოს აყვავებაში? როგორ გითხრათ, ამას ხომ ციფრებითა და დიაგრამებით ვერ გამოხატავ. თამამად და გაბედულად მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი თაობის ადამიანებს, რომლებიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში დაიბადნენ, აქვთ თავიანთი სათქმელი. უპირველეს ყოვლისა, კანონიერი სიამაყით გვავსებს ის, რომ ვართ ირგვლივ მომხდარი დიდი გარდაქმნების ცოცხალი მონაწილენი, რომ ვისწრაფვით მთელი ჩვენი შეგნებული ცხოვრება, ფიქრი, შრომა, ბრძოლა, შემოქმედება საბჭოთა საქართველოს ბედნიერებასა და წინსვლას მოხმარდეს.

ჩემი ცხოვრება კი როდი განსხვავდება ბევრი ჩემივე ასაკის საბჭოთა ადამიანის ცხოვრებისაგან. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1941-46 წლებში საბჭოთა არმიაში ყოფნა, ერთი წლის მასწავლებლობა ატენის სკოლაში, კომკავშირის რაიონულ კომიტეტში მუშაობა ინსტრუქტორიდან პირველ მდივნამდე, მერე კი რაიკომის, საქალაქო კომიტეტის მდივნად არჩევა...

ახლა პარტიის გორის რაიკომის პირველი მდივნის პოსტზე რომ ვარ არჩეული, უწინარეს ყოვლისა, ჩემი საქმიანობის დევიზად იმას ვთვლი, რომ პარტიული მოღვაწეობა შემოქმედებითი საქმეა, რომ იგი ადამიანებთან მუშაობის ხელოვნებაა. ადამიანები კი, თუ სწორად წარმართავ მათთან მუშაობას, პირდაპირ სასწაულებს ახდენენ, იჩენენ უდიდეს ენთუზიაზმს, ისინი მდინარეებს კალაპოტს უცვლიან, გაბედულად ეჭიდებიან მთებსა და კლდეებს, მიწის გულიდან ამოაქვთ სასარგებლო მადანი, აშენებენ სამშობლოს ხვავსა და ბარაქას. საბჭოთა საქართველოს 50 წელი ხომ სწორედ ამის საუკეთესო დადასტურებაა!

ჩვენს რაიონშიც მრავალია საქმის ასეთი ენთუზიასტი, ნათელი მომავლის აქტიური მშენებელი.

დღე დღეს მისდევს — მუშაობაში, ძიებაში, ზოგჯერ ცხარე კამათშიც იბადება, იჩედება ახალი და ახალი სასარგებლო საქმე. მაგრამ მოვალეობა, თვით ეს საქმე როდი მცირდება, იგი, როგორც გზა, გაჭიმულია ცხოვრების მთელ სიგრძეზე.

რაიონულ კომიტეტში საკითხი დადგა, თუ როგორ წამოგვეწია წინ ეკონომიურად ჩამორჩენილი კოლმეურნეობები. ბევრი ვიფიქრეთ, ვიმსჯელეთ და გადავწყვიტეთ შედარებით ღარიბი კოლმეურნეობებისათვის „ჩამოგვეცილებინა“ არარენტაბელური დარგები.

მეფრინველეობა რაიონში ჩამორჩენილი იყო. ამისათვის შევქმენით მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფაბრიკა. ამ საქმისაგან გავათავისუფლეთ კოლმეურნეობები და მოსახლეობაც. შევქმენით აგრეთვე ტინის ხიდის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმა. ამას მოჰყვა ახრისის მევენახეობის, ნაჭარმაგევის მებოსტნეობის საკოლმეურნეობათაშორისო მეურნეობანი. მინის ქვეშ (დახურულ სათბურში) მოვაქციეთ სამი ჰექტარი მიწა, სადაც წლის ყოველ დროს დიდძალი კიტრი და პამიდორი მოჰყავთ.

საკოლმეურნეობათაშორისო მეურნეობებმა იმედი გაგვიმართლა. ჩვენ ახლა საკმაოდ ვაწარმოებთ ფრინველის ხორცსა და კვერცხს, საქონლის ხორცსა და რძეს, ყურძენს, ბოსტნეულს. საკოლმეურნეობათაშორისო მეურნეობებიდან დიდძალ შემოსავალს იღებენ ის კოლმეურნეობები, რომლებიც მასში არიან გაერთიანებულნი.

პარტიის რაიკომი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები რაიონის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების ნამდვილი ორგანიზატორები არიან. ამის თავდებია მერვე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განაღდება, როგორც ვ. ი. ლენინის საიუბილეო, ისე ახლანდელი ზეიმის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება.

პირადად ჩემთვის საბჭოთა საქართველოს საიუბილეო წელი ორმაგად, სამმაგად საზეიმოა. იმიტომ რომ სწორედ წელს, თვეზე ცოტა მეტი ხნის წინათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მუშაობაში ვმონაწილეობდი როგორც მისი დელეგატი, იმიტომ რომ სწორედ ყრილობის მუშაობის დღეებში მომენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება. და ამაზე მეტი დაფასება, ამაზე მეტი სიხარული რა უნდა შეხვდეს კაცს ცხოვრებაში!

თვალს ვავლებთ განვლილ გზას და წინ გვესახება სამშობლოს ხვალინდელი დღე, მისი უკეთესი და ნათელი მომავალი. გორელი მშრომელები, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ახალი ხუთწლიანი გეგმის დირექტივებს რომ გულდასმით სწავლობენ, აშკარად ხედავენ უფრო აყვავებულ ბაღ-ვენახებს, ერთიორად გალამაზებულ, დამშვენებულ სოფლებსა და ქალაქებს.

მარტო მეცხრე ხუთწლედში გაშენდება 2 ათას ჰექტარამდე ხეხილის ბაღები, დამთავრდება მეჯვრისხევის მეფრინველეობის სახელმწიფო ფაბრიკის, სასათბურე მეურნეობის მეორე რიგის მშენებლობა, აშენდება საყოფაცხოვრებო მომსახურების 82 ობიექტი, 6 ახალი სკოლა და 10 საბავშვო ბაღი... ჩვენი რაიონი კი ჩემი სამშობლოს მხოლოდ ერთი პატარა ნაწილია...

დღეს ამ დიდ ზეიმზე რომ მოვედით, ყველას გასაგონად, სულ უფრო ხმამაღლა ვამბობთ:

დიდება 50 წლის საბჭოთა საქართველოს, გაუმარჯოს მის ხვალინდელ დღეს — უფრო მდიდარს, უფრო აყვავებულს, უფრო ბედნიერს!

## მუშის სიამაყე

არჩილ ქამაშვილი,

მეტალურგი, სოციალისტური შრომის გმირი.

□

ქალაქი ადამიანთა შრომის მკვიდრი ძეგლია და მის აგებას თაობები სწირავდნენ საკუთარ სიცოცხლეს. ნელა იზრდებოდნენ. თავიანთ სიჭაბუკის ხანას მხოლოდ საუკუნეთა შემდეგ თუ აღწევდნენ. სოციალისტურმა წყობამ, თავისუფალმა შრომამ, თვით ქალაქთმშენებლობის ისტორიაშიც შეიტანა ცვლილება. ჩვენი ქალაქი ამის ნათელი მაგალითია.

რუსთავ-ქალაქის ერთი ბოლოდან მეორემდე რომ გახვიდეთ, ავტობუსით თითქმის ერთი საათი უნდა იაროთ. თქვენს თვალწინ გადაიშლება პროსპექტები, ქუჩები, ბაღები, სკვერები. სიამაყეს იგრძნობთ ქალაქის სილამაზით და უნებლიეთ გაიხსენებთ მის ახლო წარსულს...

1944 წლის ზამთარი. ვრცელი ტრამალი თოვლს დაუფარავს. მივაბიჯებ ფანერის ბარაკისაკენ, რომელიც აქ მშენებლებმა დროებით სადგომად ააგეს, და თოვლზე ნაკვალევს ვტოვებ. ირგვლივ სიწყნარეა, მტკვარი გაყინულა. ბარაკთან ბიჭები მხვდებიან, ცეცხლი გაუჩაღებიათ და დღის სამუშაო გეგმაზე საუბრობენ. საფუძველი ეყრება მეტალურგიულ ქარხანას, ისახება მომავალი ქალაქის კონტურები.

ახლა ჩემი მშობლიური ქალაქი ოცდახუთი წლისაა. იგი ჩემი თაობის გმირული შრომის მკვიდრი ძეგლია. ამ ადგილას, სადაც იგი გაშლილა, ვრცელი უკაცრიელი ველი იყო. მახსოვს მისი დაბადება, შენება, ზრდა.

ჩემი სამშობლო რუსთავით იწყება. ყველაფერი, რაც ჩემს ცხოვრებაში შემიქმნია, ამ მშვენიერ ქალაქთან არის დაკავშირებული, მისი სული მიდგას. ამიტომ დღეს, ამ საზეიმო ჟამს, ჩემი ფიქრი, ოცნება მასში ტრიალებს და მხოლოდ შემდეგ სწვდება სამშობლოს — ვრცელს, მარადს და მოზეიმეს.

რაკი რუსთავის დაბადება ვახსენე, აუცილებლად თვალი უნდა გადავავლო უფრო ადრინდელ ხანასაც, როცა ჩემი სამშობლო ხელმეორედ იშვა, საბჭოთა ხელისუფლების დროშის ქვეშ დაირაზმა. ეს დღე, ეს თარიღი ყოველი ჩემი თანამემამულის თვალისჩინია. სწორედ ახალმა ცხოვრებამ მოგვცა თავისუფალი შრომის უფლება, გზა გაუხსნა ადამიანის ნიჭსა და შესაძლებლობებს, ბარაქა შემატა ქართულ კერას, აშენა ძლიერი სამკვიდრო ჩვენი. თვით ჩემი ქალაქიც (და განა მარტო იგი?) ახალი ცხოვრების ისეთი ძნელბედობის პერიოდში დაიბადა, როცა ჯერ კიდევ გაისმოდა დიდი სამამულო ომის ექო. ვინ ეცალა მაშინ რუსთავისათვის? საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც მუდამდღე მომავლისათვის ზრუნვით აღანთებს საზოგადოებას, უნერგავს მას რწმენას გამარჯვებისას.

ეს რწმენა ამოძრავებდა ჩვენს წინა თაობას კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის, პირველი საბჭოთა ხუთწლედების, დიდი სამამულო ომის წლებში. ამ რწმენამ აღგვადგენინა ომის დროს მიწისაგან პირისა აღგვილი ქალაქები და სოფლები, გვაშენებინა ინდუსტრიული გიგანტები, შახტები, მაღაროები.

ჭაბუკი ვიყავი, როცა რუსთავის უკაცრიელ ველზე ჩემს თაობასთან ერთად პირველი ნაკვალევი დავტოვე. ახლა უკვე აშენებულ ჩემს მშობლიურ ქალაქში რომ დავდივარ, სიამაყე მიპყრობს, ჩვენი შრომის ნაყოფის ცქერით ვტკბები.

ჩვენმა თაობამ წინა თაობისაგან მემკვიდრეობად მიიღო ერთგულება სამშობლოსადმი. ჩვენ იგი ესტაფეტად ახალ თაობას გადავეცით. ჩვენ მამებისაგან ვსწავლობდით შენებას, ჩვენ კი შვილებს ვასწავლით. ამის გამოცდილება გვაქვს, შეგვიძლია პირადი მაგალითით დავუმტკიცოთ დღევანდელობას, რომ უსაზღვროდ ერთგულნი საბჭოთა ხელისუფლებისა კვლავაც მოწინავეთა რიგებში მივაბიჯებთ. სამშობლო გვეძახის? ჩვენ მზად ვართ ვიშრომოთ აღმშენებლობის მშვიდობიან ფრონტზე.

ჩემი პირადი მაგალითი აქ რა მოსატანია, მაგრამ უბრალო მუშის შრომის ესოდენ დიდი დაფასება, წილად რომ მხვდა, მხოლოდ ჩვენს საზოგადოებაში შეიძლება მოხდეს. და განა მარტო მე? ჩემთან ერთად სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება დაიმსახურეს სხვა მეტალურგებმაც, ბევრი მათგანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები იყვნენ და არიან.

ალბათ გახსოვთ, საყოველთაო ზეიმით აღინიშნა მჭედლის იუბილე. მუშა კაცის — კოტე ილურიძის მარჯვენა მთელმა საქართველომ დალოცა! განა სადმე აძლევენ ესოდენ მაღალ შეფასებას მუშის შრომას? მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში!

რუსთაველი მეტალურგები, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი, პირადად გრძნობს ამ დაფასებას. ამიტომაც არის, რომ დღედაღამ თავდადებულად ვშრომობთ, სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა რიგებში მივაბიჯებთ.

ორმოცდაათი წლისთავის იუბილეს ზეიმობს საბჭოთა საქართველო. ეს საზეიმო დღეები განსაკუთრებულია, რადგან ისინი ჩვენი სამშობლოს განვლილ გმირულ ბრძოლას, ნათელ აწმყოს და დიად მომავალს აერთიანებენ. აქ იყრის თავს ჩვენი განვლილი და ახლანდელი შრომის შედეგები.

წინ ჩემი ქალაქის დიდი მომავალი მესახება, რომელიც ახალმა ხუთწლიანმა გეგმამ უნდა მოგვიტანოს. კიდევ უფრო გაიზრდება, დამშვენდება ჩემი ქალაქი და მთელი საქართველო. მე ვხედავ მის ახალ ზღუდეებს, ჩვენი მომავალი თაობის სანუკვარ ცხოვრებას.

### ბარაქალა თქვენს შრომას!



რ. გზიშვილი.



მ. ლორთქიფანიძე



ა. ქამაშვილი.



ბ. წითლიძე

## სოფელი ღონიერია

ბივი წითლიძე,

მახარაძის რაიონის ნატანების შრომის წითელი დროშის ორდენოსანი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

□

ჩემი იუბილარი სამშობლოს — საქართველოს წარსული, აწმყო და მომავალი ნატანების წარსულით, აწმყოთი და მომავლით მესახება, ვინაიდან ნატანებისა და ჩვენი ყველა სოფლისა თუ ქალაქის ისტორია მთელი საქართველოსას ბუნებრივად ჰგავს. ამიტომაც საქართველო ასე ძალუმად ჩემი ნატანების სიყვარულით მიყვარს!

ნატანების ქუჩებსა და ცენტრს საზეიმოდ რომ ვრთავდით, ჩემდა უნებურად გამახსენდა ჩვენი სოფლის ოცდაათიანი წლები, როცა საკოლმეურნეო ცხოვრება ის-ის იყო ფეხს იკიდებდა. გურული ქალი წყევლად მიიჩნევდა ნათქვამს — ნატანებში გნახე გათხოვილიო. დაჭაობებულ, კოღოების ბუდეს, მალარიის კერას ნატანებს ყველა ერიდებოდა. ამასვე ადასტურებს ძველი სიმღერაც: „ვაი, ვუი ნატანებსო, ქალი არ გამატანეო“, — ჩიოდნენ ნატანებელი ახალგაზრდები.

პატარა ვიყავი, მაგრამ მახსოვს ოცდაათიან წლებში როგორ ყალიბდებოდა ნატანებში კოლმეურნეობა. მაშინ ბავშვური ცნობისმოყვარეობით ვაკვირდებოდი ჩვენს სოფელს და ვერ გამეგო რატომ დავობდნენ გლეხები, რატომ კაფავდნენ ეკალ-ბარდებს, რატომ შლიდნენ მიჯნებს. ათითერთმეტი წლის განმავლობაში ებრძოდნენ ნატანებლები ჭაობსა და ეკალბარდებს, ასობით ჰექტარი მიწა დაამშრეს და იქ ჩაის პლანტაცია, ციტრუსები გააშენეს, სასიმინდედ გრძელი ხნულებიც გაიყვანეს.

ჩემი ნატანები ომის წინა და ომის შემდგომ ხუთწლედებში უფრო გაძლიერდა და გალამაზდა, ცხოვრების პირობებიც მთლად შეიცვალა. გამდიდრდა გლეხკაცი, გაჯანსაღდნენ ნატანებლები და ახლა ჩვენს ჯანღონით სავსე ვაჟკაცებს აღარავინ იწუნებს სასიძოდ, ხოლო ჩვენს მომხიბლავ ქალიშვილებს — საპატარძლოდ. პირიქით, ყველას ეამაყება ნატანებელი სიძე თუ რძალი, ან რატომ არ უნდა ეამაყებოდეთ, ჩვენს განახლებულ ნატანებში ყველაფერია იმისათვის, რომ პატიოსანი შრომით ჩინებულად იცხოვრო. ამაზე მეტყველებს ასობით ჰექტარზე გაშენებული ჩვენი ჩაის პლანტაციები, ნარინჯების ბაღები — ჩვენი სიმდიდრის დაუშრეტელი წყარო. ამაზე მეტყველებს ორი საშუალო და ორი დაწყებითი სკოლა, ოთხი ბიბლიოთეკა 70 ათასი წიგნით, ოცდაათი ავტომანქანა, ოცდაცამეტი ტრაქტორი, ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანები „საქართველო“, შვიდი ელექტროწისქვილი, სახერხი ქარხანა, კეთილმოწყობილი საავადმყოფო, სასტუმრო, რამდენიმე აფთიაქი, ამბულატორია, ათასადგილიანი კულტურის სახლი, საექიმო უბნები, კავშირგაბმულობის განყოფილება, სავაჭრო მაღაზიები, ჩაისა და ციტრუსების შემფუთავი ქარხნები; კოლმეურნეთა საკუთარი ავტომანქანები, ელექტრობა, რადიო, ტელევიზორი, ტელეფონი, სპორტული მოედნები.

და განა ეს სოფელია? იკითხავს ბევრი. ჩვენ ვუპასუხებთ — დიახ, ეს ჩვენი სოფელი ნატანებია, რომლის მშრომელები ქალაქურ ყაიდაზე ცხოვრობენ. ეს ჩვენი ნატანებია, საქართველოს ერთი ჩვეულებრივი სოფელი, ერთი მრავალთაგანი.

ტრაბახად ნურავინ ჩამითვლის, თუ ვიტყვი, რომ ჩვენს სოფელში 1.600 ოჯახიდან ერთსაც ვერ ნახავთ უსაქმურს. ჩვენ ოცდაერთი სოციალისტური შრომის გმირი გვყავს (ოცდამეორე მე თვით გახლავართ), ხოლო ხუთასი კაცი ორდენოსანი და მედალოსანია. აი როგორ ფასდება ჩვენში პატიოსანი შრომა, შრომა გლეხკაცისა, რომელმაც ნაჭაობარზე თანამედროვე ქალაქის ყაიდის სოფელი შექმნა.

კიდევ ერთი ამბავი მინდა გავიხსენო. ეს არც თუ ისე დიდი ხნის წინათ მოხდა: ჩვენს სოფელს ესტუმრნენ საბჭოთა კავშირში აკრედიტებულ 70 სახელმწიფოს საელჩოთა წარმომადგენლები. მათ მთელი ნატანების ყველა კუთხე-კუნჭული გულდასმით დაათვალიერეს. ერთი რომ შრომის სიკეთის ნაყოფით ხარობდა, მეორე გასაკილავს ეძებდა, მაგრამ ამაოდ. ჩვენთან გამოთხოვების წინ პრეს-კონფერენცია გაიმართა. პასუხის გაცემა ძირითადად მე მომიხდა ინგლისის, ამერიკის, იტალიის, არგენტინის, ირანის და სხვა წარმომადგენლების კითხვებზე. ვფიქრობ, კარგის მეტი ვერაფერი ჩაინიშნეს ბლოკნოტებში. ერთი კია, მათაც გამოთქვეს თავიანთი აზრი. ერთ-ერთმა მათგანმა გულახდილად თქვა: მე კოლმეურნეობის მომხრე არასოდეს არ ვყოფილვარ, მაგრამ აქ ნანახმა შემიცვალა შეხედულება და ამიერიდან მეც კოლმეურნეობას ვუჭერ მხარსო.

საქართველოს საიუბილეო წელი თავისთავად ყველასათვის ღირსშესანიშნავია, მაგრამ პირადად ჩემთვის ორი ამბითაც არის სამახსოვრო — წელს მომენიჭეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ამასთან მეორე სიხარულია ჩემს ოჯახში — პაპა ვარ. განა ეს მცირეა!

ამ საზეიმო დღეებში ჩემი ნატანების მშრომელთა სახელით მინდა გულმხურვალედ მივულოცო საყვარელი საქართველოს საიუბილეო ზეიმი მამასავით ძვირფას კოლეგებს ნიკო მამაიაშვილს, მიხაკო ორაგველიძეს, ჩემს თითქმის თანატოლებს არსენ კობაიძეს, დიმიტრი მამისაშვილს, ალექსანდრე კუტალიას, ვლადიმერ ბაჟელიძეს, მათი სახით ყველა ჩემს მეგობარს და ვუსურვო სიხარული, ბედნიერება, შემოქმედებითი შრომა საქართველოს შემდგომი წინსვლისა და აყვავებისათვის.

## თაობებისათვის სამაგალითო

მარიამ ლორთქიფანიძე,

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,

□

დღეს, როდესაც ქართველი ხალხი და მასთან ერთად ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მცხოვრები ზეიმით აღნიშნავს ჩემი სამშობლოს ახალი ცხოვრების ნახევარსაუკუნოვან იუბილეს, მე განსაკუთრებით მეამაყება, რომ ქართველმა ხალხმა, ჩემმა სამშობლომ, მართალია დიდი მსხვერპლის ფასად, მაგრამ მაინც დაიმკვიდრა თავისი ადგილი მსოფლიოს მოწინავე ერებს შორის. მეამაყება, რომ ახლა უკვე საყოველთაოდ აღიარებულია ის საპატიო წვლილი, რაც ქართველმა ხალხმა შეიტანა და რასაც მას კვლავ შეაქვს მსოფლიო ცივილიზაციის დიდ საგანძურში. ამ საზეიმო დღეებში განსაკუთრებული პატივისცემითა და მოწიწებით ვიხსენებ იმ წინაპრებს, რომელნიც საუკუნეთა მანძილზე ხმლითა და კალმით იცავდნენ მშობლიური ქვეყნის დამოუკიდებლობას, იბრძოდნენ ქართველი ხალხის ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის, იბრძოდნენ მშობლიური კულტურის, დედაენის დასაცავად. ვიხსენებ იმ ადამიანთა სახელებს, რომელთაც თავი შესწირეს სამშობლოს კეთილდღეობას, რომელთა სისხლით არის მოპოვებული ჩვენი დღევანდელი დღე.

საბჭოთა ხელისუფლებამ ჩემს ხალხს მოუტანა სოციალური თავისუფლება, საბჭოთა ხელისუფლებამ ჩემი ქვეყანა გაათავისუფლა უცხოელ ინტერვენტთა ბატონობისაგან, საბჭოთა ხელისუფლებამ მე, ქალს, საშუალება მომცა ვიყო საზოგადოების თანასწორუფლებიანი წევრი. საბჭოთა ხელისუფლებამ შემიქმნა მე განათლებისა და შრომის ყოველგვარი პირობა და მომცა შესაძლებლობა ვემსახურო ჩემთვის ძვირფას და საყვარელ საქმეს, შევისწავლო ჩემი ქვეყნის მდიდარი და მძიმე ისტორიული წარსული, კალმითა და სიტყვით მოვუთხრო ყველას, ვისაც ეს აინტერესებს, ჩემი ერის დიდი ისტორია. საბჭოთა ხელისუფლებამ საშუალება მომცა ვიცხოვრო ამ შესანიშნავ ეპოქაში და ჩემი მცირედი წვლილიც შევიტანო კაცობრიობის საუკეთესო მომავლის მშენებლობის დიდ და საპატიო საქმეში.

ძნელია ლაპარაკი საკუთარ წვლილზე შენი ქვეყნის აყვავების საქმეში. ვფიქრობ, რომ ჩემი წვლილი საბჭოთა საქართველოს აყვავების საქმეში ძალიან მცირეა. მე პროფესიით ისტორიკოსი ვარ და საქმიანობით ჩემი ქვეყნის წარსულთან ვარ დაკავშირებული. ვცდილობ მატიანეებსა და დოკუმენტებში ამოვიკითხო ცნობები ქართველი ხალხის წარსულზე, მის ბრძოლაზე მრავალრიცხოვან უცხო მოძალადეთა წინააღმდეგ, მის შემოქმედებით შრომაზე, ქართველი ხალხის ბრძოლაზე ეროვნული თუ სოციალური თავისუფლებისათვის. ვცდილობ შევავსო ჩვენი ეროვნული ისტორიის ზოგი ჯერ კიდევ ცარიელი ფურცელი, ან ახლებურად ავხსნა ზოგი ბუნდოვანი საკითხი. თუ რამდენად წარმატებით ან წარუმატებლად, ამას მკითხველი სჯის.

მაგრამ ისტორია ისტორიკოსისათვის არ შეიძლება იყოს თვითმიზანი. ჩვენი ქვეყნის წარსულს ვსწავლობთ იმისათვის, რომ ეს ცოდნა ხალხს მივაწოდოთ. რომ ყველამ იცოდეს ვინ არის ის, რომელი ხალხის შვილია, რა დამსახურება მიუძღვის მის ერსა და ქვეყანას კაცობრიობის პროგრესული განვითარების საქმეში. ისტორიის ცოდნა აუცილებელია აწმყოს შესაფასებლად და მომავლის ჯანსაჭვრეტად. ჩვენმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ, რომ ისტორია საჭიროა იმისათვის, რათა „გარდასრულთა შეამსგავსნის მომავალნი“. ყოველმა ქართველმა უნდა იცოდეს, რა ძნელ პირობებში უხდებოდათ ჩვენს წინაპრებს ცხოვრება, ქართველი კაცი ერთი ხელით თუ გუთანს ეკიდა ან კალამი ეკავა, მეორეში აუცილებლად ხმალი ან თოფი უნდა სჭეროდა. და ასეთ პირობებშიც კი ჩვენი წინაპრები ქმნიდნენ მეცნიერული აზროვნების, მხატვრული ლიტერატურის, ხუროთმოძღვრების თუ კულტურის სხვა დარგების მსოფლიო მნიშვნელობის შედევრებს. და დღეს, როდესაც ჩვენს სამშობლოში ყველა პირობა შექმნილი ნორმალური შრომისა და შემოქმედებითი მუშაობისათვის, ჩვენი წინაპართა შრომითი შემართება სამაგალითო უნდა იყოს ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

ისტორიკოსები ხალხს მოვუთხრობთ ჩვენი ქვეყნის დიად წარსულზე, ჩვენ წინაპართა დიდ საქმეებზე არა მხოლოდ იმისათვის, რომ მათ ეს იცოდნენ, არამედ იმისთვისაც, რომ მათი საქმიანობა სამაგალითო იყოს მომავალი თაობებისათვის.

ეს საიუბილეო წელი ჩემთვის, ისევე როგორც ბევრი ჩემი კოლეგისათვის, პირველ რიგში ღირსშესანიშნავია იმით, რომ მიმდინარე წელს ძირითადად დამთავრდა მუშაობა საქართველოს ისტორიის მრავალტომიან ნარკვევებზე და უკვე გამოვიდა ამ ნარკვევების ორი ტომი (I და V). წარმოებას გადაეცა და ალბათ საიუბილეო წელს გამოქვეყნდება ამ ნარკვევების II ტომი, რომელშიც V–X საუკუნეების ისტორიაა წარმოდგენილი და რომლის ერთ-ერთი თანაავტორი მეც ვარ. ამ მეორე ტომისათვის მე დავწერე IX–X საუკუნეების საქართველოს ისტორია. ჩემი აზრით, ეს ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი ფრიად საინტერესო და რთული ეპოქაა. დიდის მღელვარებით ველი ამ ტომის გამოსვლას, და იმ მსჯავრს, რომელსაც მას მკითხველი საზოგადოება გამოუტანს.

საქართველოს ისტორიის III ტომი მოიცავს XI–XV საუკუნეებს. ჩემს მიერ ამ ტომისათვის დაწერილია საქართველოს პოლიტიკური ისტორია XI საუკუნის დასაწყისიდან XII საუკუნის 80-იან წლებამდე. ეს არის ჩვენი სახელოვანი სახელმწიფო მოღვაწეების, მეფე ბაგრატ III-ის, ქართველი ხალხის დიდი შვილის დავით აღმაშენებლის ხანა. ეს ის ხანაა, როდესაც იქმნებოდა და ყალიბდებოდა ქართული ფეოდალური მონარქია, როდესაც საფუძველი ჩაეყარა და დაიწყო ჩვენი წარსული ისტორიის ე. წ. „ოქროს ხანა“. მე ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამ მონაკვეთის დაწერა. საქართველოს ისტორიის ნარკვევების III ტომზე მომუშავე კოლექტივი ვარაუდობს, რომ საიუბილეო წლის ბოლოსათვის ეს ტომიც გადაეცემა წარმოებას.

საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს დღესასწაული, როგორც ყველასათვის ცნობილია, ჩვენი დიდი სამშობლოს დედაქალაქში, მოსკოვში დაიწყო. მე მქონდა ბედნიერება ვყოფილიყავი ამ ზეიმზე და მონაწილეობა მიმეღო მასში.

იქ მე განსაკუთრებით აშკარად ვიგრძენი, რომ ჩვენ გვაქვს უფლება ვიამაყოთ იმით რომ ქართველები ვართ, უფლება გვაქვს ვიამაყოთ ქართველი ხალხის შემოქმედებითი შრომის დიდი ნაყოფით, ვიამაყოთ ჩვენი საპატიო წვლილით საერთო საქმეში.

საქართველოს რესპუბლიკის დღეები მოსკოვში, მიძღვნილი საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი, სამუდამოდ დამრჩება მეხსიერებაში, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა ჩემს ცხოვრებაში.

ქართველი ხალხი თავისი ბუნებით მშვიდობისმოყვარე და შრომისმოყვარეა. მე ჩემს ქვეყანას, ჩემს ხალხს, ჩემს უშუალო და შორეულ მემკვიდრეებს ვუსურვებ მშვიდობას, ცხოვრების ნორმალურ პირობებს. და დარწმუნებული ვარ, რომ ასეთ პირობებში, ბუნებისაგან დიდი ნიჭით დაჯილდოებული ქართველი ხალხი ფართოდ გაშლის თავის შემოქმედებით ენერგიას. მინდა და მჯერა, რომ ქართველობა გამრავლდება, ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო დამშვენდება, აშენდება.

1921 — 50 — 1971

# სიყვარულით უთქვამს სტუმრებს

ქართულ მიწაზე პირველად ვარ, და ხიხარულს ვერ ვფარავ. კარგა ხანია ვიცნობ ქართულ კულტურას, ვიცი თქვენი მშვენიერი ენა და სიყვარულით ვასწავლი მას ჩემს მოწაფეებს, რომელთა რიცხვი ჩვენთან ხულ უფრო იზრდება.

**ი. მარშევი,**
ციურიხის უნივერსიტეტის ინდოევროპული ენების ინსტიტუტის კავკასიური ენების განყოფილების ლექტორი, ქართველოლოგი.

ძალიან ლამაზია თქვენი ქვეყანა, თბილისი კი ძალიან სუფთა და აგრეთვე ლამაზი ქალაქია. ულამაზესია თქვენი მაღალი მთა-ფუნიკულორის პლატო, რომელიც ქალაქს განსაკუთრებულ ელფერს აძლევს.

თქვენი ბევრი მეცნიერი ჩემი ნაცნობი და მეგობარია. ქართული მათემატიკური სკოლა მსოფლიოშია ცნობილი. განსაკუთრებით პოპულარულია თქვენი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მუსხელიშვილის, აკადემიკოს ილია ვეკუას ფუნდამენტალური შრომები, რომლებსაც მთელ მსოფლიოში კითხულობენ.

**ფ. ნიერდსონი,**
კოპენჰაგენის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, გამოყენებითი მექანიკის კათედრის გამგე.

საქართველოში რომც არ ჩამოხვიდე, „ვეფხისტყაოსნით" შეგიყვარდება თქვენი მშვენიერი ქვეყანა, მისი ხალხი.

**ჯეიმს ოლდრიჯი,**
ინგლისელი მწერალი.

ვუსურვებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დიდებას, ქართულ მეცნიერებასა და ენას — აყვავებას.

გაუმარჯოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს!

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს საქართველოს დიდებულ ხალხს!

**რენე ლაფონი,**
ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი.

ალტაცებული ვარ თქვენი ქვეყნის წარმტაცი ბუნებით. სწორედ ამიტომაც არის საქართველოში ამდენი პოეტი. როცა სამშობლოში დავბრუნდები, აუცილებლად დავწერ ლექსებს რუსთაველზე, საქართველოზე, მის სტუმართმოყვარე ხალხზე, ჩემი ქვეყნის ხალხს გავაცნობ როგორ აფასებენ ქართველები თავიანთ სახელოვან შვილებს, როგორ უვლიან ისინი მატერიალური კულტურის ძეგლებს.

**ამრიტა პრიტანი,**
ინდოეთი.

## უცხოელთა თვალით

□

პირველი შთაბეჭდილება, რაც თბილისში ყოფნისას მივიღე, ბედნიერების ღიმილია, რაც ასე იგრძნობა ხალხის სახეზე. ეს ქართველების დიდ შინაგან მორალურ სიმდიდრეზე მეტყველებს. მომხიბლავნი არიან თეთრწინსაფრიანი მოსწავლე გოგონები, სკოლისაკენ რომ მიიჩქარიან.

**მაქს პოლ ფუშე,**
ფრანგი მწერალი, კრიტიკოსი.

მოხიბლული ვარ არა მარტო ამ ქვეყნის სილამაზით, არამედ მისი ხალხის შრომისმოყვარეობით, მდიდარი კულტურით, პოეზიისადმი დიდი სიყვარულით. რუსთაველის მშობელი ხალხი მართლაც რომ პოეტური ყოფილა.

**ჯეფრი დატენი,**
ავსტრალიელი პოეტი.

თქვენს მშვენიერ ქვეყანაში მე, შორეული ამერიკიდან ჩამოსულმა, ვნახე მშვიდობისმოყვარე, სტუმართმოყვარე მშრომელი ხალხი.

**ლუის ფრენსის სოლანო,**
ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი (აშშ).

თქვენს დედაქალაქში მეორედ ვარ. პირველად გახლდით 1965 წელს. მას შემდეგ დიდად გაზრდილა თბილისი. მაშინ არ იყო, მაგალითად, დიდებული სასტუმრო „ივერია", არც მეტრო იყო. დიდი მადლობა თბილისელებს გულითადი მიღებისათვის.

**ე. შმუტცერი.**
პროფესორი, ფიზიკოსი (გდრ).

ნება მიბოძეთ ჩემი აღფრთოვანება გამოვთქვა ლამაზი საქართველოს დიდებული დედაქალაქის მომხიბვლელობით. შევეცდები ეს მოწონება გადავცე ჩემს თანამემამულეებს, როცა შინ დავბრუნდები.

გამაკვირვა იმან, თუ რა დიდი და ფართო ფრონტით გაჩაღებულა აქ საბინაო მშენებლობა.

მდიდარი შთაბეჭდილებით მივდივარ საქართველოდან.

**ჟ. პიეტო,**
ფიზიკოსი (საფრანგეთი).

...მაინტერესებს საქართველო დავინახო ჩემი საკუთარი პრიზმიდან. ვიგრძნო მისი სიდიადე. მისი ხალხის კეთილშობილური სული, ხალხისა, რომელსაც შეუძლია თავისი წიაღიდან შვას ისეთი გენიოსები, როგორიც არიან რუსთაველი და ბარათაშვილი.

**რაინერ კირში.**
(გდრ)

საქართველო ჩემს წარმოდგენაში ლამაზ ლეგენდას ჰგავდა. როცა თვითმფრინავის საოჯლოდან კავკასიონის თოვლიანი მთები დავინახე, დავრწმუნდი, რომ არ შევმცდარვარ.

**არვო კარო,**
ფინეთი.

განსაკუთრებით მომწონს ახალმშენებლობანი და ის ლამაზი გაფორმება დედაქალაქის ცენტრისა, რაც ასე კარგ იერსა და ელფერს აძლევს ისედაც ლამაზ თბილისს. ჩვენ უკვე მოვასწარით კახეთში მგზავრობა. ვიყავით წინანდალში. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა თქვენი მხარის სილამაზემ და იმ სტუმართმოყვარეობამ, რომლითაც ასე განთქმულია თქვენი ქვეყანა.

**ემრის ბიუზი,**
ინგლისი.

ძალიან სასიამოვნოა, რომ ამ ძველი კულტურის ქვეყანაში მთავრობა და მისი ხელმძღვანელები, დიდად განათლებული ადამიანები, ასე ილვწიან ინტელექტუალური ცხოვრების განვითარებისათვის, უმაღლესი სასწავლებლის მდიდარი მატერიალური ბაზის შექმნისათვის. თქვენს ქვეყანაში შექმნილია დიდებული გარემო ადამიანის გონების განვითარებისათვის".

**დავით ლანგი,**
ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობისა და აფრიკანისტიკის სკოლის პროფესორი



## საქართველოს მთა-ბარში

# იხაროს ჭერმა...

ტყიბული. (საქ. კორ.). საიუბილეო ზეიმის დღეებში რესპუბლიკის ყველაზე ძველ და მძლავრ სამთო საწარმოს — ლენინის სახელობის შახტის ტერიტორიაზე დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა კიდევ ერთი ახალი ხუთსართულიანი სახლი. 60 მეშახტის ოჯახმა ახალი ბინა მიიღო.

კომფორტაბელურ ბინებში შესახლდნენ წმენდითი სანგრევის მუშა რ. ბოჭორიშვილი, მოწინავე გამყვანი ბ. ჭანკვეტაძე, მექანიკოსი ა. ცირეკიძე, ზეინკალი ლ. ასტაფიევი, ომის ინვალიდი ნ. ევდოკიმოვი, ცვლის უფროსი ჰ. კილინჯერიძე და სხვები.

ეს მეხუთე მრავალსართულიანი სახლია, რომელიც მეშახტეებისათვის აშენდა ბოლო სამი წლის განმავლობაში.

მშობლიური ზრუნვით გარემოსილი, არიან დიდი სამამულო ომის ინვალიდები. ფრონტზე ვაჟკაცურად იბრძოდა ტყიბულის მკვიდრი, სერჟანტი მიხეილ ბაგრატის-ძე ხერხაძე. თრიოლისათვის გაჩაღებული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის. მტრის ტყვიამ მარჯვენა ხელი მოსწყვიტა, ხოლო მარცხენა ხელზე ყველა თითი. მებრძოლი შინ ინვალიდი დაბრუნდა.

ამას წინათ მ. ხერხაძეს ახალი, სამოთახიანი ბინის ორდერი ჩააბარეს. ომგადახდილის ოჯახმა ლხინით აღნიშნა ახალმოსახლეობა. ამ დღეებში გმირი ფრონტელის მეზობლები, ნათესავები და მეგობრები კიდევ ერთი სასიხარულო შემთხვევის მოწმე გახდნენ. სოცუზრუნველყოფის რესპუბლიკურმა სამინისტრომ სამამულო ომის ინვალიდს უფასოდ გადასცა ხელით სამართავი, მცირელიტრაჟიანი „ზაპოროჟეცის" ტიპის ავტომანქანა.

## ავტომანქანით შიომღვიმეში

მცხეთა. (საქ. კორ). მტკვრის მარჯვენა მხარეს ქსნისაკენ მიმავალი მგზავრი აუცილებლად შეამჩნევს სხალტბის ქედის ძირში შეფარებულ დიდებულ შენობათა კომპლექსს. ეს გახლავთ საქართველოში ერთ-ერთი უძველესი მონასტერი — შიომღვიმე.

როგორც ქართული კულტურის ღირსშესანიშნავი ძეგლი, შიომღვიმე გამოცხადებულია ნაკრძალად და მას სახელმწიფო იცავს, ბევრი რამ კეთდება მის კეთილმოსაწყობად. ორიოდე წლის წინათ შიომღვიმეში მისვლა უგზოობის გამო არც ისე ადვილი იყო, მაგრამ მდგომარეობა გამოსწორდა, დამთავრდა მცხეთა-შიომღვიმის საავტომობილო გზის მშენებლობა.

## დედაქალაქის სიახლენი

ბევრი სიახლე შეემატა თბილისს საიუბილეოდ. წყნეთის ქუჩაზე გაიხსნა ახალი თვითმომსახურების გასტრონომიული მაღაზია, ასეთივე ტიპის მაღაზია გაიხსნა პავლოვის ქუჩაზე. ქვებვაჭრობამ დოლიძის ქუჩაზე გახსნა ახალი სასურსათო მაღაზია. ახალი სასურსათო თვითმომსახურების უნივერსალური მაღაზიები შეემატა ბოგდან ხმელნიცკის ქუჩას, გლდანის დასახლებასა და პეკინის ქუჩას. თბილმრეწვვაჭრობამ პეკინის ქუჩაზე გახსნა ახალი უნივერსალური მაღაზია, კლარა ცეტკინის ქუჩაზე — ახალი საკომისიო მაღაზია.

ამასთანავე საიუბილეოდ ბევრი გასტრონომიული, პურფუნთუშეულისა თუ სამრეწველო საქონლის მაღაზია გადაკეთდა თვითმომსახურების მაღაზიად.

□

## საკოლმეურნეო კლუბები, კანტორები

წყალტუბო. (საქ. კორ.). სოფელ გუმათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა კლუბ-კანტორის ორსართულიანი შენობა. ახალ შენობაშია კანტორა, 400-ადგილიანი კლუბი და საკოლმეურნეო ბიბლიოთეკა.

ორსართულიანი კლუბ-კანტორის ახალ დიდ შენობას მალე დაამთავრებენ აგრეთვე სოფელ გვიშტიბის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში.

## ქართული მარკით

აბაშა. (საქ. კორ.). საქართველოს სადღესასწაულო დღეებში ზეჯითად შრომობს აბაშის მექანიკური ქარხნის კოლექტივი. 4 თვეში აქ გამოუშვეს 768 ათასი მანეთის მზა პროდუქცია ნაცვლად 743 ათასი მანეთისა. გეგმა 105 პროცენტით გაანაღდეს. მიღებულია 4 ათასი მანეთი მოგება.

აბაშელთა ნაწარმის დიდი ნაწილი იგზავნება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ავღანეთში, ვიეტნამში, კუბაში, მონღოლეთსა და სხვა ქვეყნებში.

◆

## ესტონეთი ელის ქართველ სტუმრებს

ტალინი. ესტონეთის მშრომელები დიდ ინტერესს იჩენენ საქართველოს სსრ კულტურის დღეებისადმი, რომლებიც აქ გაიმართება. როგორც საქდესის კორესპონდენტს აცნობა ესტონეთის სსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების სამმართველოს უფროსმა ვამბოლა მარკუსმა (იგი მეთაურობს ამ დღესასწაულის მომზადებისა და მოწყობის შტაბს), ბევრი კუთხიდან უკვე მიიღეს განაცხადები ქართველ მეგობართა კონცერტების გასამართავად. ეს გასაგებია: ქართული ხელოვნების ოსტატებს ხომ კარგად იცნობენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. ზოგიერთი მათგანი წარმატებით გამოსულა ესტონეთშიც.

კულტურის დღეები ძირითადად მოეწყობა ტალინსა და ძველ საუნივერსიტეტო ქალაქ ტარტუში. ესტონელი მაყურებლები დაესწრებიან 50 კონცერტს, უამრავ შეხვედრას, დაათვალიერებენ გამოფენებს. ესტონეთში დიდი ინტერესით ელიან საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლს, საქართველოს ფილარმონიის კამერულ ორკესტრს, სახელმწიფო კვარტეტებსა და ტრიოს. აგრეთვე საესტრადო ანსამბლ „დიელოს" კონცერტებს.

**ბ. გოლომბი,**
საქდესის კორ.

**მორის ფოცხიშვილი**

## ერთგულება

თეთრ ნისლებში ვდუმდი დიდხანს,
ვით ნაცარში ნაღვერდალი,
ერთი სიტყვაც კი არ მითქვამს
დარდზე უფრო ხმამაღალი.

სოფლის ბიჭად ვიზრდებოდი,
ტყის პირებთან მედგა ოდა,
ტყის ასული ტყეში ოდით
ტყის გულისკენ მეწეოდა.

მაგრამ მედო შენი ვალი
და არ მქონდა სხვა რამ ცოდვა,
მწყურვალთათვის წყაროს წყალი
ჭინჭილ-ჭინჭილ მიმომქონდა.

შენს მიწაში მედგა ფესვი,
მხრები ჩიტის ფრთებში მქონდა,
ყვავილ-ყვავილ შენი თესლი
ფუტკარივით მიმომქონდა.

ჭინჭველასებრ ვზიდე ტვირთი,
მთასვლელებთან ძმობა მქონდა,
მღელვარების წმინდა ზვირთი
ერთა შორის მიმომქონდა.

საქართველოს მედო ვალი
და არ მქონდა სხვა რამ ცოდვა —
მწუხრში სულის ნაპერწკალი
სანთლის ალად მიმომქონდა.

კვლავაც შენი ერთგული ვარ
და შენს მკერდში გული მიცემს, —
დაგუბული ენგური ვარ,
შუქად უნდა გადავიქცე!



მადლი ქართული მიწისა...

მხატვარი ზ. იაშვილი.

# ბრძანება

## თბილისის გარნიზონის უფროსისა

№ 14

1971 წ. 11 მაისი.

ქ. თბილისი

თბილისის გარნიზონის ჯარების 1971 წ. 15 მაისის პარადის შესახებ.

§ 1

1971 წლის 15 მაისს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის ორმოცდამეათე წლისთავის აღსანიშნავად რუსთაველის პროსპექტზე 10.00 საათზე დანიშნულია თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი.

პარადს მიიღებს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ს. კ. კურკოტკინი.

პარადის სარდლობა ნაბრძანები მაქვს მე.

§ 2

ნაწილების მეთაურებმა გამოგზავნონ მეზღვეები და პარადზე გამოიყვანონ ჯარები დამტკიცებული განრიგებით დადგენილ დროზე.

ტანსაცმლის ფორმა საზაფხულო საპარადო.

§ 3

სასალუტო-საარტილერიო ჯგუფის უფროსმა პოლკოვნიკმა ვ. მ. მალიხინმა მოახდინოს საარტილერიო სალუტი ჩემ მიერ მიცემულ მითითებათა თანახმად.

§ 4

რუსთაველის პროსპექტზე ჯარების დაწყობისა და გავლის დროს წესრიგის დაცვის საერთო ხელმძღვანელობას ვაკისრებ თბილისის გარნიზონის კომენდანტს — პოლკოვნიკ გ. ა. დუბოვიკს.

თბილისის გარნიზონის უფროსი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი **იურკოვსკი.**

## ნაირ-ნაირი

□

### ლეოკადია რიხტერს ხუთი შვილი ეყოლა

ვარშავა. 12 მაისი. გუშინ გდანსკში მედიცინის აკადემიის მეანობისა და გინეკოლოგიის ინსტიტუტში ქალაქ პრუშჩ-გდანსკის მცხოვრებს ლეოკადია რიხტერს ეყოლა ხუთი შვილი. დედა და ახალშობილნი თავს კარგად გრძნობენ. პირველი ბავშვი იწონის 1.780 გრამს, მეხუთე — 1.460 გრამს.

### მიწისძვრა თურქეთში

სტამბოლი. 12 მაისი. როგორც კანდილის (სტამბოლის მახლობლად), ასტრონომიული ობსერვატორია იუწყება, გუშინ დილით მოხდა მიწისძვრა ანკარის სამხრეთ-დასავლეთით 360 კილომეტრზე განლაგებულ ბურდურის რაიონში. რამდენიმე შენობა ქალაქში დაინგრა. წინასწარი მონაცემებით, მიწისძვრის შედეგად დაიღუპა 15 კაცი. სატელეფონო კავშირი ბურდურთან გაწყვეტილია.

### ქვიშის ქარიშხალი

დელი. 13 მაისი. უძლიერესი ქვიშის ქარიშხალი დაატყდა თავს ინდოეთის დედაქალაქ დელს, აგრეთვე ხარიანის, უტარ პრადეშისა და ფენჯაბის შტატებს. ქარის სიჩქარე 90 კილომეტრს აღწევდა საათში. როგორც ინდოეთის პრესის სააგენტო იუწყება, ქარიშხალმა მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია, მთელ რიგ ადგილებში განადგურდა ნათესები,

## ჭადრაკი

# პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩები

გუშინ მოსკოვში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი მეოთხედფინალური მატჩის პირველი პარტია ჭადრაკში. თამაშობდნენ საბჭოთა გროსმაისტერები ვ. კორჩნოი და ე. გელერი. გელერმა უარეს პოზიციაში დროს გადააცილა და 36-ე სვლაზე დამარცხება ჩაეთვალა.

მსოფლიო პირველობის დებულებით მეოთხედფინალური მატჩები ერთდროულად უნდა დაიწყოს. გუშინ გვიან ღამით სევილიაში თამაშობდნენ პეტროსიანი და ჰიუბნერი (გფრ). კანარის კუნძულებზე — ბ. ლარსენი (დანია) და ვ. ულმანი (გდრ). რაც შეეხება რ. ფიშერისა (აშშ) და მ. ტაიმანოვის პარტიას, იგი დაწყებამდე უკვე გადაიდო და 16 მაისს შედგება. რა მოხდა? თურმე ნუ იტყვით, კანადის ქალაქ ვანკუვერში ამერიკელი გროსმაისტერისათვის შესაფერი შენობა არ აღმოჩნდა, რ. ფიშერმა დაიწუნა ცხრა დარბაზი, რომლებიც მატჩის ორგანიზატორებმა შესთავაზეს მას.

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციამ შეკითხვით მიმართა ფიდეს, თუ რით არის გამოწვეული მატჩის რეგლამენტის დარღვევა და მისგან ოფიციალურ პასუხს მოელის.

# სპორტული ამბები

ჭადრაკი. ბელგრადი, 13 მაისი. (საქდესი). იუგოსლავიის ქალაქ ოხრიდში საზონათაშორისო საჭადრაკო ტურნირის მეხუთე ტურში შეჯიბრების მონაწილე ყველა საბჭოთა მოჭადრაკემ გადადო პარტიები. ზატულოვსკაია ხვდებოდა ჰოლანდიელ ვრეკენს, რუბცოვა — იუგოსლავ ბელამარიჩს, კოზლოვსკაია — პოლონელ რაძიკოვსკას, ალექსანდრია — კონოპლიოვას.

ალექსანდრიას, რომელიც პირველ ადგილზეა, 4 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს. უნგრელმა ივანკამ, იუგოსლავმა შტადლერმა, რუმინელმა პოლიქრონიადემ სამ-სამი ქულა მოაგროვეს.

● ლუჰაჩოვიცში მიმდინარეობს საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. გათამაშდა 2 ტური. წინ არის ჩეხოსლოვაკიელი გროსმაისტერი ჰორტი, რომელსაც 2 ქულა აქვს. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ანტოშინი (სსრ კავშირი), პშიბილი და სმეიკალი (ჩეხოსლოვაკია) და საბო (უნგრეთი).

● ფეხბურთი: მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა—ინგლისის ნაკრებმა საკუთარ მოედანზე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში დაამარცხა მალტის ფეხბურთელები 5:0 და ექვსიდან ექვსი ქულა აქვს. შვეიცარიის ნაკრებმა მეორე მატჩშიც დაამარცხა საბერძნეთის ფეხბურთელთა გუნდი 1:0 და ახლა რვიდან რვა ქულა აქვს. პორტუგალელმა ფეხბურთელებმა მოუგეს დანიის ნაკრებს 5:0, ხოლო ტირანაში პოლონეთისა და ალბანეთის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

● 12 მაისს მეორე ჯგუფის მეოთხე ზონის გუნდებს მორიგი ტურის მატჩები ჰქონდათ ფეხბურთში.

აი ამ მატჩების შედეგები: „მეტალურგი" (ლიპეცკი) — „მერცხალი" (მახარაძე) 0:0, „სპარტაკი" (ტამბოვი) — „კოლხეთი" (ფოთი) 0:1, „სპარტაკი" (სარანსკი) — „დილა" (გორი) 1:0, „ხიმმაშოვეცი" (პენზა) — „მეტალურგი" (რუსთავი) 0:0, „მაშინოსტროიტელი" (პოდოლსკი) — „დინამო" (ბათუმი) 1:1, „სპარტაკი" (რიაზანი) — „მეშახტე" (ტყიბული) 0:1, „დინამო" (კიროვი) — „დინამო" (სოხუმი) 0:1.

● ველორბოლა: მშვიდობის ველორბოლის მონაწილეებმა დღემდე გაიარეს 7 ეტაპი. პირად ასპარეზობაში დაწინაურდა პოლონელი ზ. ჩეხოვსკი. საბჭოთა ველომრბოლი ა. ხტარკოვი მეორე ადგილზეა. გუნდურ ჩათვლაში ლიდერობენ ჩეხოსლოვაკიელები. საბჭოთა გუნდს მეორე ადგილი უჭირავს.

სპორტი

## ტელევიზია

14 მაისი

პირველი პროგრამით

09.55 — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გადაცემა (ცენტრალური ტელევიზიისათვის), 17.30 — დოკუმენტური ფილმი, 18.30 — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის რეპორტაჟი, 20.00 — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტის ტრანსლაცია (გადაცემა ცენტრალური ტელევიზიისათვის), 22.00 — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი რეპორტაჟი მოსკოვიდან; 23.30 — ევროპის ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში — გახსნა (გადმოცემა მადრიდიდან).

მეორე პროგრამით

20.05 — სკოლების დასახმარებლად — ჯაკვეთილი ხაზვაში, 21.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია თეორიულ მექანიკაში, 22.00 — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი რეპორტაჟი მოსკოვიდან.

## თეატრები

14 მაისი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ფედრა; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მთვარის მოტაცება; გრიბოედოვის სახელობის — ერთადერთი მოწმე; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მარიცა.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რედაქტორი
**დ. მძედლიშვილი.**

კომუნისტი 380008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეები — 99-98-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, ხაზდივნისა — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 98-22-93, მრეწველობის — 98-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-48, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-98-54. ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 68443 № 07859 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.